რეფლექსია

2020 წლის 9 დეკემბერს მე-10 კლასში ჩავატარე ინტეგრირებული გაკვეთილი გერმანულ ენასა და გეოგრაფიაში თემაზე - "Heimat ". საგანთა შორის ინტეგრაციის მიზეზი გახდა ვიქტორინა გერმანულენოვან ქვეყნებზე, რათა მოსწავლეებს საშუალება მისცემოდათ მისთვის შეეხედათ სხვა კუთხით, შეედარებინათ ქვეყნები სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით და ემსჯელათ გეოგრაფიულ და ისტორიულ-კულტურულ თავისებურებებზე. რაც გაუადვილებდათ მათ საკითხის უკეთ შეცნობას და საგანთა შორის კავშირის დამყარებით მოახდენდნენ ცოდნის ტრანსფერს.

მიმაჩნია, გაკვეთილზე დასახული მიზნები შეიძლება ჩაითვალოს მიღწეულად. საგანთა შორის კავშირის დამყარებამ ხელი შეუწყო მოსწავლეებს შესაბამისი შედეგების მიღწევაში, რადგან მოსწავლეებმა შეძლეს გეოგრაფიის გაგაკვეთიზე მიღებული ცოდნით მოსასმენ ტექსტებში მოცემული ინფორმაციის სრულად გააზრება. ამოიცნეს გერმანიის, ავსტრიისა და შვეიცარიის ქვეყნები გეოგრაფიის გაკვეთილზე ნასწავლი რელიეფის, კულტურისა და ბუნებრივი პირობების მინიშნებით. დააკავშირეს სურათები და ინფორმაცია შესაბამისად ამ ქვენებთან.

გაკვეთილი მთლიანობაში საინტერესოდ და სახალისოდ წარიმართა, დაინტერესება გამოიწვია ფოტოკოლოჟმა, მოისმინეს გერმანიის, ავსტრიისა და შვეიცარიის ჰიმნები, ნახეს მათი ღირსშესანიშნაობები, ქალაქები და ლანდშაფტები, შეასრულეს სხვადასხავა დავალებები მოცემულ თემასთან დაკავშირებით.

გაკვეთილმა დამანახა, რომ სხვადასხვა საგნიდან სწორად შერჩეული თემები ყოველთვის უზრუნველყოფს სასურველი სასწავლო შედეგის მიღწევას, ხელს უწყობს სინთეზური აზროვნების განვითარებას. ვფიქრობ რომ ჩემი და ჩემი კოლეგების პრაქტიკაში გახშირდება და დაიხვეწება მსგავსი ტიპის გაკვეთილების ჩატარების ტექნიკა, რადგან ინტეგრირებული გაკვეთილები განსაკუთრებით ზრდის მოსწავლის მოტივაციას. მოსწავლე ჩართულია აქტიურ სწავლაში, რის შედეგადაც სწავლა მისთვის უფრო საინტერესო და სახალისო ხდება.

ვთვლი, რომ ყველაზე წარმატებული აქტივობა ჯგუფური მუშაობა და პრეზენტაცია იყო, რადგან მოსწავლეებმა დამოუკიდებლად, საკმაოდ მონდომებით დაამუშავეს ქვეყნები და საინტერესოდ წარმოადგინეს ისინი. მათი ნამუშევრებით არაჩვეულებრივი რესურსი შეიქმნა გერმანულენოვან ქვეყნებზე, რომლებსაც სხვა კლასებშიც გამოვიყენებ თვალსაჩინოების სახით.

გაკვეთილი ძირითადად გეგმის მიხედვით წარიმართა, ბოლო სათადარიგო აქტივობა -„ჯაჭვური თამაში" აღარ გამოვიყენე, რადგან მოსმენის აქტივობამ მეტი დრო წაიღო . მიმაჩნია, რომ უკეთესი იქნებოდა ყველა მოსწავლე თანაბრად ჩართული ყოფილიყო საგაკვეთილო პროცესში და მეტად ეაქტიურათ მათ. მომდევნო გაკვეთილის დაგეგმვისას გავითვალისწინებ, რომ მოსწავლეები მეტად გავააქტიურო და ჩავრთო საგაკვეთილო პროცესში მათი ინტერესის სფეროების

გათვალისწინებით, ასევე განსაკუთრებული ყურადღება მივაქციო თითოეული აქტივობისთვის საჭირო დროს, მოსწავლეთა შესაძლებლობიდან გამომდინარე.

გერმანული ენის მასწავლებელი: თამარ ჩუბინიძე